ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №202

16 ოქტომბერი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის (ს/კ - 203851509) გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილების მე-4 მუხლისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 02 აგვისტოს N02/915 მომართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ს/კ - 203851509) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობის პერიოდით, „N62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის“ განთავსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N35-ში მდებარე შენობა–ნაგებობა, ღირებულებით – 41 240 (ორმოცდაერთი ათას ორას ორმოცი) ლარი და მასზე დამაგრებული 308 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით – 3696 (სამიათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი (მიწის ნორმატიული ფასი – 12,00 ლარი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28,01,22,139).

2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (ლელა იმედაშვილი) უზრუნველყოს მხარეებს შორის გასაფორმებელი მიღება–ჩაბარების აქტის მომზადება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე